2023 წლის საქმიანობის ანგარიში

ერთწლიანი გეგმის მონიტორინგის შედეგი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს 2023 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგს. მასში ასახულია ის ძირითადი საქმიანობა, რომელიც სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ მიერ 2023 წლის სამოქმედო გეგმით გაიწერა-დაწესებულების მიერ დასახული სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ამოცანები და აქტივობები. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ ცალკეული ღონისძიებები განხორციელდა.

უნდა აღინიშნოს, რომ გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი აქტივობა ვერ განხორციელდა სრულად, ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, სწორედ ამიტომ შეუსრულებელი, ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობები გათვალისწინებული იქნება მომდევნო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.

*კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ჯამში მოიცავდა 5 მიზანს.

მიზანი N1 - პროგრამების შემუშავება და განვითარება

ვინაიდან პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის გაზრდა თანამედროვე სამყაროსთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, კოლეჯის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება დამსაქმებელთა ბაზრის კვლევა. კოლეჯის მიერ 2023 წელს შემუშავებული კითხვარის საშუალებით, განხორციელდა პარტნიორების შერჩევა, გამოკითხვა და შედეგების ანალიზი. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 15 პარტნიორი კომპანია და კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროგრამების განვითარება უნდა მოხდეს IT სფეროს განვითარების ფეხდაფეხ.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება ურთიერთ თანამშრომლობითი პროცესია და მასში მონაწილეობს ყველა ის მხარე (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვ.) რომელიც უზრუნველყოფს შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების

შექმნას. სწორედ ამიტომ 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად მოხდა პროგრამების გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანის საჭიროების კვლევა, აღნიშნულის ფარგლებში არ გამოვლენილა ცვლილებების შეტანის საჭიროება.

2023 წლის სამოქმედო გეგმის მიხვედით გათვალისწინებული იყო საკვირაო სკოლის გაძლიერებას; აღნიშნულის განხორციელება გადავიდა 2024 წლის სამოქმედო გეგმაში.

მიზანი N2 - პროფორიენტაციის, საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაძლიერება და საერთაშორისო ურთიერთობა

პროფორიენტაციის მიმართულებით განხორციელდა აქტივობები, რომელიც მიზნად ისახავდა პოტენციური სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის კოლეჯისა და შეთავაზებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ვებგვერდის, სოციალური მედიის გვერდების და ასევე შეხვედრების და ონლაინ ჩართვების ფორმით.

ასევე 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, კოლეჯის მიერ ხორციელდებოდა პროფორიენტაციული მიმართულების გაძლიერება, რომლის ფარგლებშიც მუდმივად ხდებოდა ღონისძიებების, ტრენინგების, პროექტების და ყველა სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის და სიახლის განთავსება როგორც, ვებ-გვერდზე ასევე კოლეჯის სოციალურ გვერდებზე. (,Facebook" და ,,Instagram").

2023 წლის აპრილის თვეში „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში" გაიმართა ღია კარის დღეები. მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია: პროგრამების, სასწავლო პროცესის, კოლეჯის აქტივობების, პროექტების და სხვა მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

2023 წელს შემუშავდა სტუდენტთა გზამკვლევი; შედგა კმაყოფილების კვლევისთვის კითხვარი და განხორციელდა სტუდენტთა გამოკითხვა; დამუშავდა პროფორიენტაციის მიმართულებით გაწეული კონსულტაციის შესახებ გამოკითხვის შედეგები; შედეგების ანალიზის შემდგომ შემუშავდა რეკომენდაციები.

2023 წელს სისტემატურად ახლდებოდა სიახლეებითა და სასარგებლო ინფორმაციებით კოლეჯის ვებ-გვერდი. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ ხორციელდებოდა ვებგვერდის სრულყოფა თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად. მემორანდუმის ფარგლებში მოხდა ურთიერთობების გაღრმავება ისეთ ორგანიზაციებსა და კომპანიებთან,

როგორიცაა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს“, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“, სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“, შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“, შპს „Cloud 9”, შპს „გლობუსი“, შპს „ვივა სოლუშენს“, შპს „IT Craft”.

გაფორმდა მემორანდუმი სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან".

2024 წელს კოლეჯი აქტიურად განახორციელებს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების დანერგვას.

მიზანი N3 - სასწავლო გარემოს გაუმჯობესება

საჭიროების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით განახლდა და შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, სასწავლო და საოფისე ინვენტარი. მოხდა ფაქტობრივი გარემოს ვიზუალური დათვალიერება და განხორციელდა მონიტორინგი უსაფრთხოებაზე და შრომის უსაფრთხოებაზე.

მიზანი N4 - სტუდენტების, მსმენელების და კურსდამთავრებულების კმაყოფილების ზრდა

სტუდენტების/მსმენელების მოტივაციის ზრდის ხელშეწყობის მიზნით 2023 წლის დეკემბრის თვეში ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში" გაიმართა შეხვედრა ინტეგრირებულ ჯგუფებთან, რომელიც მიეძღვნა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ გაეროს ინიციატივით დადგენილ კვირეულს. ასევე, კოლეჯში სხვადასხვა პერიოდში იმართებოდა შეხვედრები, როგორც ინტეგრირებული ასევე მოდულური ჯგუფების სტუდენტებთან, თემებით, როგორებიცაა: ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი), არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ და სხვ.

სტუდენტთა ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით, ივნისის თვეში ჩატარდა ტურნირი მინიფეხბურთში, რომელიც ორი კვირის მანძილზე გრძელდებოდა. აღნიშნულ ტურნირში პროფესიულ სტუდენტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს პროფესიული განათლების მასწავლებლებმაც.

სამოქმედო გეგმის შესაბამისად შეიქმნა "facebook"-ის თემატურ ჯგუფები, სადაც მოხდა სტუდენტების გაწევრიანება, თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის შეიქმნა როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური ელ-ფოსტები კოლეჯის დომეინის ბაზაზე. ჩატარდა შეხვედრები და მასტერკლასები დამსაქმებელ და ასევე, მოწვეული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, როგორიცაა კომპანია “SOLVIT”, „Cool Group” და “Lineate”, „Sweeft • a Making Science company“.

განხორციელდა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის და მისი დინამიკის ანალიზი.

ასევე 2023 წლის მიღების პროცესში მოხდა პარტნიორი კომპანიების ჩართვა და მათი აზრის კვლევის შედეგების დამუშავება.

კოლეჯის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ყველა აქტივობა განთავსდა ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელებში .

2023 წელს კოლეჯის ბაზაზე ვებტექნოლოგიებში ჩატარდა ეროვნული კონკურსი „WorldSkills საქართველო 2023“; კონკურსის ფარგლებში გამარჯვებულები გახდა კოლეჯის სტუდენტი საბა ავლოხაშვილი; საქართველოს კონკურსში გამარჯვებულები წარდგენილნი იქნებიან WorldSkills-ის რიგით 47-ე საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც 2024 წელის 10-15 სექტემბერს საფრანგეთში, ქალაქ ლიონში გაიმართება.

მიზანი N5 - ადამიანური რესურსების განვითარება

ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით ჩატარდა და გაანალიზდა პერსონალის კვლევა დასაქმებულთა ინტერესების, საჭიროებების, კმაყოფილებისა იდენტიფიცირების მიზნით. ადამიანური რესურსების მენეჯერისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების ჩართულობით მოხდა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და ინტერპრეტირება. ვინაიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა 2023 წლის განმავლობაში ათი პერსონალი იქნა გადამზადებული. ასევე მოხდა თანამშრომლების დაწინაურება და ახალი კადრების აყვანა.

2024 წლისთვის დაიგეგმა სხვადასხვა სახის მასტერკლასების განხორციელება კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის.